14/10/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი მარიამ (მარიტა) მეფარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

მარიამ (მარიტა) მეფარიშვილის მშობლებსა და ახლობლებს

ბატონო დავით, ქალბატონო ანა,

დიდია ჩვენი გულისტკივილი დღეს მომხდარი ტრაგედიის გამო.

აღვავლენთ ლოცვებს პატარა მარიტა-მარიამის უკვდავი, ნათელი სულისათვის, რათა უფალმან თვის საუფლოში, – სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგმადლოთ ჭირსა შიგან სიმტკიცე და ურყევი რწმენა იმისა, რომ სინამდვილეში სიკვდილი არ არსებობს, რადგან გარდაცვალება არის დასაწყისი ახალი, მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ დროებით განგვაშორებს ახლობლებს; მთავარია, ჩვენ შევძლოთ ღვთის გზით სვლა.

ვლოცულობთ მარიტა-მარიამისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

მარიამ (მარიტა) მეფარიშვილის მშობლებსა და ახლობლებს

მამონო დავით, ქალბატონო ანა,

დიდია ჩვენი გულისტკივილი დღეს მომხდარი ტრაგედიის გამო.

ალვაქლენთ ლოცვებს პატარა მარიტა-მარიამის უკვდავი, ნათელი სულისათვის, რათა უფალმან თვის საუფლოში, - სავანეს მართალთასა დაანებოს იგი, ხოლო თქვენ მოგმადლოთ ჭირსა შიგან სიმტკიცე და ურყევი რწმენა იმისა, რომ სინამდვილეში სიკვდილი არ არსებობს, რადგან გარდაცვალება არის დასაწყისი ახალი, მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ დროებით განგვაშორებს ახლობლებს; მთავარია, ჩვენ შევძლოთ ღვთის გზით სვლა.

ვლოცულობთ მარიტა-მარიამისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

13.10.2022

patriarchate.ge